ხუთშაბათი,

13 აპრილი, 1961 წ.

№ 45 (1681)

გამოცემის მე-17 წელი

ფასი 3 კაპ.

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლომელი

ЛЕЛО

Орган Союза спортивных обществ и организаций Грузинской ССР и Грузинского республиканского совета профсоюзов

საქართველოს სსრ სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების ცენტრალური საბჭოს ორგანო

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და ხალხებისადმი!
ყველა ქვეყნის ხალხებისა და მთავრობებისადმი!
მთელი პროგრესული კაცობრიობისადმი!

სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და საბჭოთა კავშირის მთავრობის

მ ი მ ა რ თ ვ ა

მოხდა დიადი მოვლენა. ადამიანმა ისტორიაში პირველად განახორციელა გაფრენა კოსმოსში.

1961 წლის 12 აპრილს 9 საათსა და 7 წუთზე მოსკოვის დროით კოსმოსური თანამგზავრი ხომალდი „აღმოსავლეთი", რომელშიც ადამიანი იყო, ავიდა კოსმოსში, შემოუფრინა გარშემო დედამიწას და მშვიდობით დაეშვა ჩვენი სამშობლოს — საბჭოების ქვეყნის წმიდათაწმიდა მიწაზე.

პირველი ადამიანი, რომელმაც კოსმოსში შეაღწია, არის საბჭოთა ადამიანი, საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის მოქალაქე!

ეს ადამიანის უმაგალითო გამარჯვებაა ბუნების ძალებზე, მეცნიერებისა და ტექნიკის უდიდესი მონაპოვარია, ადამიანის გონების გამარჯვებაა. დასაბამი მიეცა ადამიანის ფრენას კოსმოსურ სივრცეში.

ამ გმირობაში, რომელიც საუკუნეებს გადაეცემა, განსახიერებულია საბჭოთა ხალხის გენია, სოციალიზმის მძლავრი ძალა.

კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი და საბჭოთა მთავრობა დიდი სიხარულისა და სიამაყის გრძნობით აღნიშნავენ, რომ ეს ახალი ერა კაცობრიობის პროგრესულ განვითარებაში დაიწყო ჩვენმა ქვეყანამ — გამარჯვებული სოციალიზმის ქვეყანამ.

წარსულში ჩამორჩენილ მეფის რუსეთს ოცნებაც არ შეეძლო ასეთი გმირობის ჩადენაზე პროგრესისათვის ბრძოლაში, ტექნიკურ-ეკონომიურად უფრო განვითარებულ ქვეყნებთან შეჯიბრებაზე.

მუშათა კლასის ნებით, ხალხის ნებით, რომლებიც შთააგონა კომუნისტების პარტიამ ლენინის მეთაურობით, ჩვენი ქვეყანა გადაიქცა მძლავრ სოციალისტურ სახელმწიფოდ, უმაგალითო სიმაღლეებს მიაღწია მეცნიერებისა და ტექნიკის განვითარებაში.

როცა მუშათა კლასმა 1917 წლის ოქტომბერში ხელში აიღო ძალაუფლება, ბევრს, პატიოსან ადამიანებსაც კი, ეეჭვებოდათ, რომ იგი შეძლებდა ქვეყნის მართვა-გამგებლობას, შეინარჩუნებდა ეკონომიკის, მეცნიერებისა და ტექნიკის განვითარების თუნდაც მიღწეულ დონეს.

და აი ახლა მთელი მსოფლიოს წინაშე მუშათა კლასი, საბჭოთა კოლმეურნე გლეხობა, საბჭოთა ინტელიგენცია, მთელი საბჭოთა ხალხი ცხადყოფენ მეცნიერებისა და ტექნიკის უმაგალითო გამარჯვებას. ჩვენმა ქვეყანამ გაუსწრო მსოფლიოს ყველა სხვა სახელმწიფოს და პირველმა გაკვალა კოსმოსის გზა.

საბჭოთა კავშირმა პირველმა გაუშვა საკონტინენტთაშორისო ბალისტიკური რაკეტა, პირველმა გაგზავნა დედამიწის ხელოვნური თანამგზავრი, პირველმა გაგზავნა კოსმოსური ხომალდი მთვარეზე, შექმნა მზის პირველი ხელოვნური თანამგზავრი, განახორციელა კოსმოსური ხომალდის გაფრენა პლანეტა ვენერას მიმართულებით. საბჭოთა თანამგზავრი ხომალდები, რომლებზეც ცოცხალი არსებანი იყვნენ, ზედიზედ მიფრინავდნენ კოსმოსში და ბრუნდებოდნენ დედამიწაზე.

კოსმოსის ათვისებაში ჩვენი გამარჯვებების გვირგვინი იყო საბჭოთა ადამიანის ტრიუმფული გაფრენა კოსმოსური ხომალდით დედამიწის გარშემო.

სახელი და დიდება მუშათა კლასს, საბჭოთა გლეხობას, საბჭოთა ინტელიგენციას, მთელ საბჭოთა ხალხს!

სახელი და დიდება საბჭოთა მეცნიერებს, ინჟინრებსა და ტექნიკოსებს — კოსმოსური ხომალდის შემქმნელებს!

სახელი და დიდება პირველ კოსმონავტს — ამხ. იური ალექსის ძე გაგარინს, კოსმოსის ათვისების პიონერს!

ჩვენ, კომუნიზმის მშენებელ საბჭოთა ადამიანებს, წილად გვხვდა პატივი პირველთ შეგვეღწია კოსმოსში. კოსმოსის ათვისებაში მოპოვებული გამარჯვებები მარტო ჩვენი ხალხის მიღწევად კი არ მიგვაჩნია, არამედ მთელი კაცობრიობის მიღწევად. ჩვენ სიხარულით ვაყენებთ ამ გამარჯვებებს ყველა ხალხის სამსახურში, დედამიწის ყველა ადამიანის პროგრესის, ბედნიერებისა და კეთილდღეობისათვის. ჩვენს მიღწევებსა და აღმოჩენებს ვაყენებთ არა ომის სამსახურში, არამედ მშვიდობისა და ხალხთა უშიშროების სამსახურში.

მეცნიერებისა და ტექნიკის განვითარება იმოს უსაზღვრო შესაძლებლობას სახავს, დავეუფლოთ ბუნების ძალებს და გამოვიყენოთ ადამიანის საკეთილდღეოდ, ამისათვის უწინარეს ყოვლისა უნდა უზრუნველვყოთ მშვიდობა.

ამ საზეიმო დღეს კვლავ მივმართავთ ყველა ქვეყნის ხალხებსა და მთავრობებს მოწოდების სიტყვით მშვიდობის შესახებ.

დაე ყველა ადამიანმა, განურჩევლად რასისა და ეროვნებისა, კანის ფერისა, სარწმუნოებისა და სოციალური კუთვნილებისა, ყოველი ღონე იხმაროს მთელ მსოფლიოში მტკიცე მშვიდობის უზრუნველსაყოფად. ბოლო მოვუღოთ გამალებულ შეიარაღებას! განვახორციელოთ მტკიცე საერთაშორისო კონტროლს დაქვემდებარებული საყოველთაო და სრული განიარაღება! ეს იქნება გადამწყვეტი წვლილი მშვიდობის დაცვის წმიდათაწმიდა საქმეში.

ჩვენი სამშობლოს სახელოვანი გამარჯვება ყველა საბჭოთა ადამიანს აღფრთოვანებს ახალ-ახალი გმირობისათვის კომუნიზმის მშენებლობაში!

წინ, ახალ-ახალი გამარჯვებისაკენ მშვიდობის, პროგრესისა და კაცობრიობის ბედნიერებისათვის!

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის მინისტრთა საბჭო

მოსკოვი, კრემლი, 1961 წლის 12 აპრილი.

მ ა ტ ჩ-რ ე ვ ა ნ შ ი ს
მეთერთმეტე პარტია

მოსკოვი. (ჩვენი სპეც. კორ.). როგორც ცნობილია, X პარტია გადადებული იყო ბოტვინიკის მატერიალური და პოზიციური უპირატესობით. ამიტომ არავის გაკვირვებია ტალის მიერ ამ პარტიის დათმობა თამაშის განუახლებლად. ტალი გულდასმითი ანალიზით დარწმუნდა შეწყვეტილი პოზიციის უიმედობაში და ზედმეტად ჩათვალა წინააღმდეგობა.

* * *

გუშინ შედგა მატჩ-ტურნირის XI პარტია. თეთრებით თამაშობდა ბოტვინიკი. მსოფლიოს ექს-ჩემპიონმა თავიდანვე მოიპოვა უპირატესობა და აიძულა მ. ტალი 42-ე სვლაზე დანებებულიყო.

ამრიგად, XI ტურის შემდეგ მატჩ-რევანშის ანგარიშია 7,5:3,5 მ. ბოტვინიკის სასარგებლოდ.

თბილისის „დინამოსა" და საბჭოთა კავშირის წყალბურთელთა ნაკრები გუნდის წევრს, სპორტის ოსტატ ლ. გოგოლაძეს ამას წინათ შეუსრულდა 23 წელი, მისმა თანაგუნდელებმა — საბჭოთა კავშირის ნაკრების წევრებმა გულთბილად აღნიშნეს მათი კოლეგის დაბადება.



სურათზე: ა. შუბერტი და ბ. გრიშინი ულოცავენ ლ. გოგოლაძეს (შუაში).

ფოტო ვ. ტუტოვისა

დღის წესრიგშია პროფკავშირების VII სპარტაკიადა

პროფკავშირთა საკავშირო საბჭოს პრეზიდიუმის გადაწყვეტილებით მიმდინარე წელს გაიმართება პროფკავშირთა სპორტული საზოგადოებების VII საზაფხულო სპარტაკიადა. მასში ჩვენი რესპუბლიკის სპორტსმენთა წარმატებით მონაწილეობისათვის საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს პრეზიდიუმმა მიიღო დადგენილება რესპუბლიკის პროფკავშირთა III სპარტაკიადის ჩატარების შესახებ.

ამ რესპუბლიკურ ღონისძიებას წინ უნდა უსწრებდეს და პირველ მაისამდე უნდა დამთავრდეს წარმოება-დაწესებულებებისა და სასწავლებელთა სპარტაკიადები, ხოლო რაიონული, საქალაქო და საოლქო სპარტაკიადების უკანასკნელ ვადად დამტკიცდა 1 ივლისი, რაც შეეხება ფინალურ შეხვედრებს რესპუბლიკურ პირველობაზე, იგი გაიმართება 8–12 ივლისს თბილისში.

პრეზიდიუმის გადაწყვეტილებით სპარტაკიადაში მონაწილეობის მსურველნი დაყოფილია 2 ჯგუფად. 1 ჯგუფს ჰქმნიან აჭარისა და აფხაზეთის, აგრეთვე თბილისის, ქუთაისის, რუსთავის პროფკავშირების ნაკრები გუნდები, რომლებიც გამარჯვებისათვის იბრძოლებენ სპორტის 14 სახეობაში (კალათბურთი, კრივი, კლასიკური, თავისუფალი და ქართული ჭიდაობა, ველოსპორტი, ფრენბურთი, სპორტული ტანვარჯიში, ნიჩბოსნობა, მძლეოსნობა, ცურვა, წყალში ხტომა, ძალოსნობა და ფარიკაობა) და ფიზკულტურის კოლექტივები, რომლებიც ერთმანეთს შეეჯიბრებიან ხუთ სახეობაში (ველოსპორტი, სპორტული ტანვარჯიში, მძლეოსნობა, ცურვა, ძალოსნობა).

პირველი ჯგუფის გუნდები კალათბურთში, ველოსპორტსა და მძლეოსნობაში დაკომპლექტებული უნდა იყვნენ არა ნაკლებ II თანრიგოსნებით, ხოლო 50 პროცენტი უნდა იყოს პირველთანრიგოსნები. სხვა სახეობათა გუნდებში მხოლოდ ოსტატები და პირველთანრიგოსნები იქნებიან შეყვანილნი.

ფიზკულტურული კოლექტივების გუნდები მძლეოსნობასა და ცურვაში კომპლექტდება არა ნაკლებ II თანრიგოსნებით, ხოლო დანარჩენ სახეობაში უნდა იყვნენ არანაკლებ პირველთანრიგოსნებისა.

ფიზკულტურული კოლექტივების (ცალკეულ სახეობებში) გუნდების 75 პროცენტს მაინც უნდა შეადგენდნენ ისეთი სპორტსმენები, რომლებიც ამ წარმოებაში მუშაობენ არა ნაკლები 6 თვისა, ხოლო დანარჩენი 25 პროცენტი შეიძლება არ მუშაობდეს, მაგრამ აუცილებელია იყოს აღნიშნული ფიზკულტურული კოლექტივის წევრი და მისი სახელით გამოდიოდეს შეჯიბრებებში მინიმუმ 2 წლის განმავლობაში.

II ჯგუფს ქმნიან სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური რაქის, ბორჯომის, მახარაძის, ზუგდიდის, თელავის, ახალციხის, გორის, ტყიბულის, ზესტაფონის რაიონების, ქალაქების ფოთისა და ჭიათურის პროფკავშირული ორგანიზაციების ნაკრები გუნდები, რომლებიც გამარჯვებისათვის იბრძოლებენ სპორტის 5 სახეობაში (მძლეოსნობაში, ძალოსნობაში, კალათბურთში, ქართულ ჭიდაობასა და ფეხბურთში), აქ ქართულ მოჭიდავეთა გუნდები დაკომპლექტებული უნდა იქნეს მთლიანად პირველთანრიგოსნებით, ხოლო სხვა სახეობებში დასაშვებია მეორეთანრიგოსნებიც.

ყველა იმ რაიონს, რომელიც ვერ მოხვდა II ჯგუფში, უფლება აქვს ოსტატები და პირველთანრიგოსნები მიავლინონ პირად პირველობაში მონაწილეობისათვის თუ ამის ნებართვას სათანადო განაცხადის წარდგენის შემდეგ დართავს სპარტაკიადის საორგანიზაციო კომიტეტი.



სურათზე: ხელბურთის თამაშის მომენტი თბილისის 56-ე სკოლაში.

ფოტო ს. კრუჟკოვისა.

დიდი ღონისძიების წინ

✦

პროფკავშირულ-ფიზკულტურულ აქტივზე

✦

საქართველოს პროფკავშირების სპორტულ საზოგადოებათა საქმიანობის დღის წესრიგში ამჟამად დგას არა მარტო მასობრივ-ფიზკულტურული მუშაობის ფართოდ გაშლა რესპუბლიკაში, ზრუნვა მაღალთანრიგოსანთა, მიღწეოსანთა გამოვლინება-აღზრდისათვის, სპორტული გზების ქსელის გაფართოებისათვის, არამედ მზადება პროფკავშირთა VII საკავშირო სპარტაკიადისათვისაც, რომელიც ფაქტიურად საქართველოს პროფკავშირთა სპორტული საზოგადოებების მიერ წინა სპარტაკიადიდან დღემდე ჩატარებული მუშაობის შემოწმებაც იქნება.

საქართველოს პროფკავშირებსა და მის სპორტულ საზოგადოებებს, რომლებსაც საკმაოდ დიდი მკვეთრი წონა აქვთ რესპუბლიკის სპორტულ მოძრაობაში, ყოველწლიურად მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვთ მშრომელთა ფართო მასების ფიზკულტურასა და სპორტში ჩაბმის საქმეში, საქართველოს სპორტული დელეგაციების მიერ საკავშირო და საერთაშორისო ასპარეზზე მოპოვებულ წარმატებებში. მაგრამ ყველაფერი ეს იმას არ ნიშნავს, რომ პროფკავშირებისა და მისი სპორტული საზოგადოებების საქმიანობაში ყველა მწვერვალი დაპყრობილი იყოს, ხოლო ნაკლოვანებები, ხარვეზები მინიმუმამდე იყოს დაყვანილი. ისინი ჯერ კიდევ არის.

სწორედ ყველა ამ ზემოაღნიშნულთა შესახებ ლაპარაკობდნენ მომხსენებლები და კამათში გამოსულნი საქართველოს პროფკავშირული ფიზკულტურული აქტივის კრებაზე, რომელიც ამ დღეებში თბილისში ჩატარდა. აქტივის კრებაზე გამოსულთა უმეტესობა დაუნდობლად ამხელდა ხელისუფლებრივ პირობებს, სახავდნენ მათი დაძლევის გზებს. საქართველოს პროფსაბჭომ მოხსენებით გამოსვლა დაავალა მისი სპორტსაზოგადოებების რესპუბლიკური, საგზაო და ცენტრალური საბჭოების თავმჯდომარეებს. ტრიბუნაზე ერთმანეთს ცვლიდნენ „განთიადის“ ცენტრალური საბჭოს თავმჯდომარე ი. ბოჭორიძე, „ბურევესტნიკის“ რესპუბლიკური საბჭოს თავმჯდომარე ბ. პაიჭაძე, „სპარტაკის“ რესპუბლიკური საბჭოს თავმჯდომარე ო. აბუაშვილი და „ლოკომოტივის“ საგზაო საბჭოს თავმჯდომარე თ. კაკაბაძე.

ლაპარაკობს „განთიადის“ ცენტრალური საბჭოს თავმჯდომარე ი. ბოჭორიძე... უნდა აღინიშნოს, რომ საზოგადოების საბჭოსა და მის ორგანიზაციებს მასობრივ-ფიზკულტურულ მუშაობაში ხერიოზული ნაკლოვანებები გააჩნიათ... დღემდე ვერ შეძლეს ყველა ფიზკულტურული კოლექტივის ორგანიზებულად განმტკიცება, პროფორგანიზაციებთან ახალი ფიზკულტურული კოლექტივების შექმნა. თბილისის 26 კომისრის სახელობის მანქანათმშენებელ ქარხანაში არადამაკმაყოფილებლადაა დაყენებული სპორტული მუშაობა, ბაზები მოუვლელია და გამოუყენებელი...

შემდეგ ი. ბოჭორიძემ ლაპარაკა პროფკავშირთა III რესპუბლიკური და VII საკავშირო სპარტაკიადებისათვის მზადების შესახებ. საწარმოო ტანვარჯიშის ყველა წარმოებაში დანერგვის, საზოგადოებრივი კადრების რიცხვის ზრდისა და მათი პრაქტიკულ სამუშაოზე გამოყენების აუცილებლობაზე და სხვ.

ტრიბუნაზეა სპორტის დამსახურებული ოსტატი, „ბურევესტნიკის“ რესპუბლიკური საბჭოს თავმჯდომარე ბ. პაიჭაძე. იგი თავის გამოსვლაში განსაკუთრებით შეჩერდა ფიზკულტურული კოლექტივებისადმი პროფკავშირული ორგანიზაციების ნაკლებ დახმარებაზე, რომ ხშირად საფაბრიკო-საქარხნო თუ უმაღლესი სასწავლებლების ადგილკომები ხელოვნურად ამცირებენ მასობრივ-ფიზკულტურული მუშაობისათვის დაგეგმილ თანხებს. ილაპარაკა, რომ სტუდენტთა მნიშვნელოვანი ნაწილი, განსაკუთრებით საერთო საცხოვრებელში, კვლავ რჩება ფიზკულტურულ-გამჯანსაღებელი მუშაობის გარეშე, სტუდენტთა ქალაქის სპორტული ბაზები ვერ მუშაობენ სათანადო დატვირთვით.

შემდეგ ბ. პაიჭაძე შეეხო სპორტღონისძიებათა კალენდარების დუბლირება-გადატვირთვას, რაც უარყოფითად მოქმედებს სტუდენტ-სპორტსმენთა აკადემიურ მოსწრებაზე, ილაპარაკა სპორტული ფედერაციების თვითნებობაზე, რომ ისინი საზოგადოებებთან შეთანხმების გარეშე აძლევენ სპორტსმენებს ერთიდან მეორე საზოგადოებაში გადასვლის ნებას. ილაპარაკა „ბურევესტნიკის“ რესპუბლიკური, საოლქო და საქალაქო საბჭოს მუშაობაში არსებულ ნაკლოვანებებზე.

15 წუთში დაამთავრა თავისი გამოსვლა „სპარტაკის“ რესპუბლიკური საბჭოს თავმჯდომარემ ო. აბუაშვილმა. მან ბევრი არ ილაპარაკა საზოგადოების მუშაობაში არსებულ ნაკლოვანებებზე და ძირითადად შეეხო მოპოვებულ წარმატებებს.

თბილისის სახადილოების ტრესტების, I-ლი სატვირთო ავტოსატრანსპორტო კანტორის, საქართველოს სახელმწიფო მუზეუმისა და სხვ. ფიზკულტურულ კოლექტივებში ჩაშლილია მასობრივ-ფიზკულტურული მუშაობა, რესპუბლიკის 20 რაიონში ჯერ კიდევ არ არის ჩამოყალიბებული რაისაბჭო, ბევრ წარმოება -დაწესებულებასთან არაა შექმნილი ფიზკულტურის კოლექტივი. განსაკუთრებით ადგილობრივი მეურნეობის, მედიცინისა და კულტურის მუშაკთა კავშირებში შემავალ წარმოება-დაწესებულებებში. მომზადებული საზოგადოებრივი კადრების მნიშვნელოვანი ნაწილი არ არის გამოყენებული პრაქტიკულ საქმიანობაში, საზოგადოებრივი კადრების როლი (კერძოდ კი საწარმოო ტანვარჯიშის) განსაკუთრებით უგულებელყოფილია ქალაქის მე-2 საავადმყოფოში, ავტოსატრანსპორტო კანტორებში, რესტორნების ტრესტში, მეცნიერებათა აკადემიის ისტორიის ინსტიტუტში, სოხუმის ორგანიზაციებში, გორში, გურჯაანში, ლანჩხუთში, ტყიბულსა და სხვაგან.

„ლოკომოტივის“ საგზაო საბჭოში კარგა ხანს იყო გამეფებული უმოქმედობის მავნე ტრადიცია, მის ძველ ხელმძღვანელს არა ერთხელ მიეთითა ჩაშლილი მუშაობისათვის და ბოლოს მის ადგილზე თ. კაკაბაძე გადაიყვანეს. ხელმძღვანელის შეცვლამ მკვდარი წერტილიდან დაძრა საქმე, მაგრამ ერთი კია, პროფკავშირულ აქტივზე მისმა თავმჯდომარემ „ლოკომოტივის“ საქმიანობაში არსებულ უამრავ ნაკლოვანებებზე არაფერი თქვა.

რაც გამორჩათ მომხსენებლებს, შეავსეს მოკამათეებმა. განსაკუთრებით საქმიანი იყო „განთიადის“ ქუთაისის საქალაქო საბჭოს თავმჯდომარის ვ. აფრიდონიძის, თბილისის-სახელმწიფო უნივერსიტეტის ფიზაღზრდისა და სპორტის კაბინეტის გამგის კ. ზაუტაშვილის, გ. სამადაშვილის (ტრანსპორტის მთავარი სამმართველო), ხ. ლოგინოვის (აჭარის „სპარტაკის“ საოლქო საბჭო) და სხვათა გამოსვლები, რომლებმაც თქვეს, რომ საწარმოო ტანვარჯიშმა ქუთაისში ჯერ კიდევ ვერ ჰპოვა გავრცელება, მცირერიცხოვან კოლექტივებში დაბალია ფიზკულტურული მუშაობის დონე, პროფკავშირთა რესპუბლიკური კომიტეტები საზოგადოების მარკებს საკმაო რაოდენობით არ აგზავნიან ადგილებზე, რის გამო ძნელდება როგორც საზოგადოების წევრთა რიცხვის ზრდა, ისე ანარიცხების აკრეფა.

პროფკავშირული ორგანიზაციები თითქმის არავითარ დახმარებას არ უწევენ ფიზკულტურის საბჭოებს, კათედრებს, არ აწარმოებენ აღმზრდელობით მუშაობას სპორტსმენებთან. ამიტომაც ისინი ხშირ შემთხვევაში ჩამორჩებიან სწავლაში. მაგიდის ჩოგბურთელი ასლანიანი სწორედ ამიტომ გაირიცხა უნივერსიტეტიდან. სტუდენტთა მნიშვნელოვანი ნაწილი, მაგალითად, უნივერსიტეტიდან მაკალათია, ნინოშვილი და სხვები „ბურევესტნიკის“ ნაცვლად „დინამოს“ ინტერესებს იცავენ. ხშირად ძნელი ხდება სპორტინვენტარის და ფორმის შეძენა „ლიმიტის“ უქონლობის გამო. შეუწყნარებლად ჭიანურდება თბილისში ტურისტთა კლუბის გახსნა, ბათუმში საცურაო აუზის კეთილმოწყობა და სხვ.

აქტივზე ვრცელი და შინაარსიანი სიტყვებით გამოვიდნენ საქართველოს სპორტკავშირის თავმჯდომარე გ. ხიხარულიძე და საქართველოს პროფსაბჭოს მდივანი ი. ხეთაგური. პირველმა ილაპარაკა იმის შესახებ, რომ პროფკავშირულ სპორტულ საზოგადოებებში დაბალია მასობრიობა. ფიზკულტურულ მუშაობაში ჩაბმულია მათ სისტემაში შემავალ მუშა-მოსამსახურეთა 12-15 პროცენტი, სათანადო უურადღება არ ექცევა საწარმოო ტანვარჯიშს, ფიზკულტურული კოლექტივების განმტკიცებას, ხშირად ფიქტიურია გეგმების შესრულება, დაბალია ხარისხი. საზოგადოებებში, განსაკუთრებით „ლოკომოტივში“ ჩამორჩება კრივი, ველოსპორტი, მძლეოსნობა, ფარიკაობა.

ი. ხეთაგურმა დღის სინათლეზე გამოიტანა საქართველოს პროფკავშირების სპორტსაზოგადოებათა საქმიანობაში არსებულ ნაკლოვანებანი და დასახა ღონისძიებანი პროფკავშირთა VII საკავშირო სპარტაკიადაში წარმატებით მონაწილეობისათვის, გააკრიტიკა „სპარტაკის“ რესპუბლიკური საბჭო და მედიცინის მუშაკთა, სახელმწიფო ვაჭრობისა და სამომხმარებლო კოოპერაციის პროფკავშირთა რესპუბლიკური კომიტეტები სპორტისადმი ნაკლები მზრუნველობისათვის.

ლ ე ლ ო

მე-2 გვ. № 45 (1681)

საფეხბურთო პირველობა

ეროვნული ბიბლიოთეკა

გათამამების მეორე ტურის ანგარიშები

საქართველოს პირველობა

შედგა ფეხბურთში საქართველოს პირველობის II ტურის შეხვედრები.

დაძაბულ ბრძოლაში მიმდინარეობდა ქუთაისის „ტორპედოს“ მატჩი მახარაძის „სიხარულთან“. ანგარიში გახსნეს ქუთაისელებმა, მაგრამ სტუმრებმა მეორე ტაიმში ხელთ იგდეს ინიციატივა და გაქვითეს გოლი. შემდგომში მოწინააღმდეგეთა კარებში გატანილ იქნა თითო ბურთი და მატჩი დამთავრდა ფრედ — 2:2.

ჩოხატაურში თამაშობდნენ ადგილობრივი „ბახმარო“ და თბილისის არმიელთა კოლექტივი. ორივე გუნდი დასაწყისიდანვე დიდი მონდომებით თამაშობდა, მაგრამ პირველ ტაიმს შედეგი არ მოუცია — 0:0. შესვენების შემდეგ თამაშს უფრო მწვავე ხასიათი მიეცა და საბოლოოდ გამარჯვება დარჩათ ჩოხატაურელებს — 2:1.

თანაბარი ბრძოლით აღინიშნა მატჩი თელავში ადგილობრივ „კოლმეურნესა“ და სოხუმის „დინამოს“ შორის. თამაში დამთავრდა ფრედ — 3:3.

დიდი მონდომებით ჩაატარეს მატჩი ხობის „კოლხეთის“ წინააღმდეგ ჭიათურის „მაღაროელის“ ფეხბურთელებმა. მათ მიაღწიეს გამარჯვებას ანგარიშით — 2:0.

ფიზკულტურის ინსტიტუტის გუნდმა თბილისში მიიღო ტყიბულის „მეშახტე“. მიუხედავად იმისა, რომ სახიფათო მომენტები ხშირად იქმნებოდა ორივე გუნდის კართან, ანგარიში არ გახსნილა — 0:0.

გეგეჭკორში ამ დღეს თამაშობდნენ ადგილობრივი „სალხინო“ და ქობულეთის „შუქურა“. მატჩის პირველი ნახევარი დამთავრდა ფრედ — 1:1. შესვენების შემდეგ თანდათან თავი იჩინა სტუმრების უპირატესობამ, რომლებმაც მიაღწიეს კიდეც გამარჯვებას ანგარიშით 3:2.

კარგად ჩაატარეს თავიანთი მორიგი მატჩი ბათუმის განთიადელებმა ადიგენში, სადაც ისინი შეხვდნენ ადგილობრივ „მექანიზატორს“. ბათუმელებმა ყოველ ტაიმში გაიტანეს 2-2 ბურთი და გაიმარჯვეს ანგარიშით 4:0.

„ოდიშის“ ზუგდიდს მატჩი ჰქონდა ქუთაისში, ადგილობრივ „მშენებელთან“. ქუთაისელებმა სრული უპირატესობით ჩაატარეს შეხვედრა და მიაღწიეს დამაჯერებელ გამარჯვებას — 4:1.

წულუკიძეში თამაშობდნენ ადგილობრივი „ფეიქარი“ და ახალციხის „მესხეთი“. მწვავე ბრძოლის შემდეგ გამარჯვებას მიაღწიეს მასპინძლებმა — 2:1.

სტალინირისა და თბილისის „სპარტაკის“ თანაკლუბელთა მატჩი შედგა სტალინირში. ერთადერთმა ბურთმა, რომელიც სტალინირელმა ა. თედეევმა გაიტანა მოწინააღმდეგის კარში, მოუტანა მასპინძლებს გამარჯვება.

მეტად საინტერესო გამოდგა თამაში ფოთში ადგილობრივ „მეზღვაურსა“ და ლანჩხუთის „გურიას“ შორის. მინდორზე მწვავე ბრძოლა გაჩაღდა თამაშის დასაწყისშივე და ლანჩხუთელებმა მალე მიაღწიეს პირველ წარმატებას. შესვენების შემდეგ მოწინააღმდეგეებმა თითო ბურთის გატანა შეძლეს და გამარჯვება დარჩათ ლანჩხუთელებს — 2:1.

სამტრედიაში ერთმანეთს შეხვდნენ ადგილობრივი „ლოკომოტივი“ და რუსთავის „სპარტაკი“. პირველი ტაიმი რკინიგზელებმა მოიგეს ანგარიშით — 2:1. შესვენების შემდეგ მათ მნიშვნელოვნად გააუმჯობესეს თამაში, კიდევ ორი ბურთი გაიტანეს და გაიმარჯვეს კიდეც — 4:1.

გორში შედგა მატჩი ცხაკაიას „განთიადსა“ და გორის „დილას“ შორის. სტუმრებმა შეძლეს მასპინძელთა წინააღმდეგობის დაძლევა და მოიპოვეს გამარჯვება ანგარიშით 2:0.

კვლავ კარგად თამაშეს თბილისის „ისნის“ ფეხბურთელებმა, რომლებმაც ყვარელში დაამარცხეს ადგილობრივი „დურუჯი“ — 4:1.

საქართველოდან სსრ კავშირის ფეხბურთის პირველობაში მონაწილე გუნდების მოთამაშეთა სია

„ბ“ კლასი

„ლოკომოტივი“ (თბილისი)

უფროსი მწვრთნელი — ვ. რამიშვილი, **მწვრთნელი**—ზ. ქვარიანი.

მეკარეები: ო. რუხაძე, ა. რატიანიძე.

მცველები: ს. გაგუა, ი. უსტაბაშიდი, ე. კუჭავა, ე. ოდიკაძე.

ნახევარმცველები: გ. მუმლაძე, მ. მიროშნიკოვი, ა. სიამაშვილი.

თავდამსხმელები: მ. იაშვილი, გ. ხაზარაძე, თ. ცერცვაძე, ნ. ახალაცი, ო. ურთქმელიძე, ა. ივანოვი, ვ. დავითულიანი, ვ. ბურდინი.

★

„დინამო“ (ბათუმი)

უფროსი მწვრთნელი — ნ. კეშელავა, **მწვრთნელი** — ა. ჩოლოკიანი.

მეკარეები: — ა. კვაშაძე, ი. კაჭარავა.

მცველები: — ნ. ქინქლაძე, ვ. ჯოხაძე, ვ. სერგა, მ. ჩხაიძე.

ნახევარმცველები: — ა. მინასიანი, ო. ლორია, რ. ძნელაძე.

თავდამსხმელები: — გ. მენაბდე, ა. ყურშუბაძე, ვ. ჩხარტიშვილი, ა. შაფათავა, გ. პატარაია, ზ. დანელია, ა. ნინუა, ნ. ალექსანოვი.

ფეხბურთის ფედერაციაში

საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდიუმმა ამას წინათ თავის სხდომაზე მოისმინა თბილისის „ლოკომოტივის“ მოთამაშის ა. წოწელიას საკითხი.

ჯერ კიდევ ა. წ. იანვარში ა. წოწელიას სურდა წასვლა გუნდიდან. „ლოკომოტივის“ ხელმძღვანელობამ, აგრეთვე მისმა თანაგუნდელებმა პირად საუბრებში გამოარკვიეს, რომ გუნდიდან ა. წოწელიას წასვლის სურვილი არ იყო ნაკარნახევი რაიმე სპორტული ხასიათის მოტივით ან უმაღლეს სასწავლებელში სწავლის პირობებით.

ამხანაგებმა დაარწმუნეს იგი, რომ მისი განზრახვა მცდარია, მიიღეს მისგან თანხმობა, რომ დარჩებოდა გუნდში, მაგრამ მცირე ხანს შემდეგ ა. წოწელიამ ყოველგვარი გაფრთხილების გარეშე, თვითნებურად შეწყვიტა საწვრთნელ ვარჯიშებზე სიარული და ფაქტიურად წავიდა გუნდიდან. განმეორებითმა ამხანაგურმა საუბრებმა წოწელიასთან სახურველი შედეგი არ გამოიღო. გამოირკვა, რომ მას განზრახული ჰქონდა სხვა გუნდში თამაში, თუმცა საამისო უფლება არ ჰქონდა მიღებული თავისი კოლექტივისაგან, ხოლო მისი გადასვლა სხვა გუნდში არ ემთხვეოდა ფეხბურთელთა ერთი გუნდიდან მეორეში გადასვლის ვადებს.

ა. წოწელიას საქციელი აშკარად მეტყველებს მის უპატივცემლობაზე კოლექტივის მიმართ. მან არ გაუწია ანგარიში საზოგადოებრივ აზრსაც და უყურადღებოდ დატოვა ფედერაციის პრეზიდიუმის თავმჯდომარის ამხ. გ. ჯინჭარაძის პირადი მითითებანი.

გუნდიდან თვითნებური წასვლის, თავისი კოლექტივისადმი უპასუხისმგებლობისათვის, რომელიც ორი წლის განმავლობაში ხელს უწყობდა მის სპორტულ დოსტატებას, აგრეთვე არსებული წესების დარღვევისათვის, ფეხბურთის რესპუბლიკური ფედერაციის პრეზიდიუმმა დაადგინა აუკრძალოს ა. წოწელიას 1961 წელს ითამაშოს ოსტატთა გუნდებში და უფლება მისცა ითამაშოს მხოლოდ იმ უმაღლესი სახწავლებლის გუნდში, სადაც იგი განაგრძობს სწავლას.

ფეხბურთის საკავშირო ფედერაციამ ზემოაღნიშნული დადგენილება დაამტკიცა.

მაღლეოსნებმა აიღეს სტარტი

ახალგაზრდებმა აჩვენეს კარგი შედეგები

წინა წლებისაგან განსხვავებით ამ შეჯიბრებაში ქალაქებისა და რაიონების ნაკრები გუნდები კი არ იბრძოდნენ გამარჯვებისათვის, არამედ ის სასკოლო კოლექტივები, რომლებმაც უძლიერესის სახელი მოიპოვეს ადგილობრივ შეჯიბრებებზე და შეეძლოთ გუნდის გამოყვანა სრული პროგრამით. ამასთან პირად შეჯიბრებაზე დაშვებულ იქნენ უძლიერესებიც სხვა სკოლებიდან. სულ გუნდური პირველობისათვის ბრძოლის სტარტზე გამოვიდა 9 კოლექტივი—თბილისის სკოლა-ინტერნატი და 64-ე სკოლა, ქუთაისის მე-9, ბათუმის მე-8, სოხუმის მე-8, სტალინირის მე-3, გორის მე-7, რუსთავის მე-2 და ფოთის სკოლის გუნდები. მონაწილენი დაყოფილნი იყვნენ ორ ასაკობრივ ჯგუფად — 15-16 და 17-18 წლისანები.

მიუხედავად იმისა, რომ შეჯიბრების დღეებში ბათუმში წვიმდა, ნაჩვენები იქნა რამდენიმე საკმაოდ კარგი შედეგი. მაგალითად, უფროსი ასაკის ჭაბუკთა შორის ბირთვის კვრაში კონკურსგარეშე გამოდიოდა თბილისელი მოსწავლე ი. ოყროშიძე, მან აჩვენა 16 მ 66 სმ. ეს შედეგი უკვე ნათლად მეტყველებს მის მომავალზე.

კარგი მომავალი აქვთ აგრეთვე სიმაღლეზე მხტომელ უმცროსი ასაკის გოგონებსაც—მ. გაბუნიას (თბილისი, ინტერნატი), რომელმაც 145 სმ დაძლია, ქ. თოთიბაძეს (ბათუმი)—140 სმ და უფროსი ასაკის გოგონებს—ს. პრიპელსკაიას, ი. გაბაშვილს (ორივემ აიღო 150 სმ), ი. ავსაჯანაშვილს — 145 სმ. (ყველა თბილისიდან). მათ არ ჩამორჩენიან სიმაღლეზე მხტომელი ჭაბუკებიც, უფროს ასაკში განსაკუთრებით იმედის მომცემნი არიან თბილისელები შ. ართმელაძე (ინტერნატი), რომელმაც 185 სმ აიღო, ო. მურადაშვილი — 185 სმ და ი. არშბა—180 სმ. იგივე შეიძლება ითქვას თ. ზამბახიძისა (რომელმაც სამხტომში აჩვენა 13 მ 72 სმ) და რ. ჩუბინიძის (სიგრძეზე ხტომაში—6მ 85 სმ.) შესახებ.

დებულების თანახმად პირად შეჯიბრებაში მონაწილეები გამარჯვების შემთხვევაშიც კი ვერ იღებდნენ საპრიზო ადგილებს, ჩვენის აზრით ამას გავლენა არ უნდა მოეხდინა სპორტსმენებსა და მათ მწვრთნელებზე, მაგრამ გაკვირვებას იწვევს ერთი ფაქტი. ბათუმში შეჯიბრებაში მონაწილეობის მიაღებად ჩამოვიდნენ განათლების სამინისტროს **მ ძ ლ ე ო ს ნ ე ბ ი** მწვრთნელ ე. გაგუას ხელმძღვანელობით. ამ უკანასკნელმა იმის ნაცვლად, რომ საშუალება მიეცა ბავშვებისათვის ეცადათ ძალები, დებულების ზემოაღნიშნული პუნქტით განაწყენებულმა გუნდი უკან დააბრუნა. შეჯიბრებაზე გამოუცხადებლობის სხვა შემთხვევებსაც ჰქონდა ადგილი. ამ თავისებურ „შეჯიბრებაში“ პირველი ადგილი დაიკავეს თბილისელებმა.

ლ. გიორგაძე,
მთავარი მხაჯი.

სურათზე: ნ. არომელაძე სიმაღლეზე ხტომის დროს.

ფოტო პ. კებებჩიანისა.

ცენტრალური საბჭოს ინიციატივით

თბილისში, „ბურევესტნიკის“ სტადიონზე „კოლმეურნის“ ცენტრალური საბჭოს ინიციატივით გაიმართა აზერბაიჯანისა და საქართველოს სოფლის მძლეოსანთა პირველი სამატჩო შეხვედრა, რომელიც ტრადიციულად გადაიქცა. „მეხსულისა“ და „კოლმეურნის“ უძლიერესი სპორტსმენები ორ დღეს იბრძოდნენ პროგრამის 28 სახეობაში.

შეჯიბრებისათვის კარგად მომზადებულან ჩვენი რესპუბლიკის წარმომადგენლები, რომლებმაც 22 სახეობაში დაიკავეს პირველი ადგილი და მხოლოდ ექვსში დაუთმეს უპირატესობა სტუმრებს. „მეხსულის“ მძლეოსნები განსაკუთრებით კარგად გამოვიდნენ საშუალო და გრძელ მანძილებზე რბენებში და მოიგეს აგრეთვე სამხტომი და სიგრძეზე ხტომა ვაჟთა შორის. თავიანთი საზოგადოებების რეკორდების ცხრილში მოწინააღმდეგეებმა შეიტანეს 2-2 შესწორება. აზერბაიჯანელებმა სამხტომში, როცა ს. სალიმოვმა აჩვენა 14 მ 33 სმ, და 5000 მ რბენაში, როცა გამარჯვებულმა მ. მურადოვმა დისტანციის გარბენას 15.36,6 მოანდომა.

თუ სტუმრებიდან „მეხსულის“ რეკორდები ვაჟებმა გააუმჯობესეს, მასპინძლებიდან ამ სპატიო ამოცანის განხორციელება წილად ხვდათ ქალებს — ქ. კახიშვილსა და ს. ნარმანიას. პირველმა სარეკორდო შედეგი — 13 მ 48 სმ აჩვენა ბირთვის კვრაში, ხოლო მეორემ 800 მ რბენაში —2.29,0. ასღანიშნავია ისიც, რომ სეზონის დასაწყისისათვის „კოლმეურნის“ მძლეოსნებმა წინა წლებთან შედარებით გაცილებით მაღალი შედეგები აჩვენეს, გამარჯვებულთა უმეტესობა ჩაატია მეორე თანრიგის ნორმაში, ხოლო გ. გუდაშვილმა ბადროს ტყორცნაში (49 მ 47 სმ), ქ. გორძამაშვილმა შუბის ტყორცნაში (65 მ 33 სმ) და თ. როქმანოვამ — ხუთჭიდში პირველ თანრიგს გადააჭარბეს. თუ მხედველობაში მივიღებთ იმას, რომ სტადიონის სარბენი, სატყორცნი და განსაკუთრებით სახტომი სექტორები ვერ აკმაყოფილებდა მოთხოვნებს, ნათელი გახდება, რომ შეჯიბრების მონაწილეებს მაინცდამაინც ბევრს ვერაფერს ვუსაკვედურებთ, მაგრამ ზოგიერთ ფაქტს მაინც ვერ აუვლით გვერდს დუმილით.

400 მ რბენაში როგორც ქალთა, ისე ვაჟთა, 10000 მ რბენაში, ქალთა შორის სიგრძეზე ხტომაში გამარჯვებულთა შედეგები არ გასცილებია მესამე თანრიგს. 110 მ თარჯრბენში კი მესამე თანრიგის შედეგი (16,8) მხოლოდ გამარჯვებულმა ი. სანგულიამ აჩვენა. სამაგიეროდ, მათმა წარმომადგენელმა ს. სალიმოვმა თავისებური „დუბლი“ გააკეთა — პირველი ადგილები აიღო სიგრძეზე ხტომაში — 6 მ 86 სმ და სამხტომში და თანაგუნდელებიდან თავის კოლექტივს ყველაზე მეტი — 10 ქულა მოუტანა. მას არ ჩამორჩა გ. ისმაილოვიც. იგი „მეხსულის“ ინტერესს თავის ტყუპ ძმასთან შამილთან ერთად იცავდა 800 და 1500 მ რბენაში და ორჯერვე მოიგო პირველობა, ამასთან პირველ დისტანციაზე 0,2 წამით მიასწრო ფინიშზე ზ. ეფრემიძეს — 2.01,2. საქართველოს სპორტსმენებიდან ორ-ორი გამარჯვება მოიპოვეს: ქალთა შორის ნ. ნოზაძემ (100 და 200 მ რბენაში), ქ. კახიშვილმა (ბადრო და ბირთვი), კ. გორძამაშვილმა (ვაჟთა შუბი და ბირთვი), ხოლო თ. როქმანოვა უფრო შორს წავიდა — 15 ქულა მოუტანა კოლექტივს 80 მ თარჯრბენში, ხუთჭიდსა და სიმაღლეზე ხტომაში გამარჯვებით.

საერთო გუნდურ ნათვლაში დიდი უპირატესობით გაიმარჯვეს „კოლმეურნის“ მძლეოსნებმა.

ლ ე ლ ო

მე-3 გვ. № 45 (1681)

სპორტის მოყვარულმა ჯ. ქათამაძემ ქობულეთის რაიონიდან რედაქციაში გამოგზავნა შემდეგი შინაარსის წერილი.

„ვკითხულობთ: მსოფლიო პირველობის მატჩში გარინჩამ მოატყუა მცველი კუზნეცოვი, გავიდა იაშინთან პირისპირ და დაარტყა, ბურთი მოხვდა ძელს და სიმონიანის თქმით, შუა მოედნამდე დაბრუნდა. საინტერესოა, დამტკიცებულია თუ არა ასეთი „მკვდარი“ დარტყმის ძალა?“.

რა შეიძლება ვუპასუხოთ ამხ. ჯ. ქათამაძეს? ბრაზილიელთა მარჯვენა გარემარბის გარინჩას ამ დარტყმაზე ბევრს წერდნენ გაზეთები, ეს მომენტი გადაღებულია დოკუმენტურ ფილმშიც, რაც შეეხება ნ. სიმონიანის სიტყვებს, რომ ბურთი თითქმის შუა მოედნამდე დაბრუნდაო, რა უფლება გვაქვს არ დავუჯეროთ ფეხბურთელს, რომელიც თვით მონაწილეობდა ამ მატჩში და შეიძლება იმ დროს იმყოფებოდა სწორედ მოედნის შუაში, სადაც უკუგდებულ იქნა ბურთი.

გარდა ამისა, ჯ. ქათამაძეს აინტერესებს თუ საიდან წარმოიშვა ფეხბურთში ტერმინი „ცხრიანი“ და რას ნიშნავს იგი.

საწვრთნელ ვარჯიშებზე ფეხბურთელები ხშირად იყენებენ კედელს, რომელზეც დახატულია ფეხბურთის კარი. ეს კარი დაყოფილია კვადრატებად. რომლებსაც პირობითად აწერია ციფრები. კარის შორეულ კუთხეებს, რომლებიც ყველაზე ძნელი მისაწვდენია, მეკარისათვის, აქვთ აღნიშვნა „9“ და ეს ტერმინიც — „ცხრიანი“ აქედან წარმოიშვა.

✦

თბილისელი ინჟინერი ბ. ღვინიაშვილი გვთხოვს ჩვენი გაზეთის საშუალებით გავაცნოთ ფ. პატერსონ-ი. იუჰანსონის მატჩ-რევანშის მსვლელობა.

1959 წლის 26 ივნისს ნიუ-იორკში შედგა მატჩი მსოფლიო პიროვნელობაზე მძიმე წონის პროფესიონალ მოკრივეთა შორის. ერთმანეთს შეხვდნენ შვედი ი. იუჰანსონი და ამერიკელი ზანგი ფ. პატერსონი. მესამე რაუნდში შვედმა უძლიერესი დარტყმით მოწინააღმდეგე ნოკაუტში ჩააგდო.

ფ. პატერსონს ის-და დარჩენოდა, ეცადა კიდევ ერთი წელი, რომ მატჩ-რევანშში შეხვედროდა შვედს. 1960 წლის 21 ივნისს ნიუ-იორკის სტადიონის რინგის კვადრატზე ერთმანეთის პირისპირ კვლავ დადგნენ ფ. პატერსონი და ი. იუჰანსონი. ბრძოლა მხოლოდ 5 რაუნდს გაგრძელდა. ამჯერად ნოკაუტში შვედი მოკრივე აღმოჩნდა.

ამ ამბიდან ერთი წელიც არ იყო გასული, რომ მსოფლიო პრესაში კვლავ ატყდა აურზაური ფ. პატერსონ-ი. იუჰანსონის მომავალი შეხვედრის ირგვლივ. და 13 მარტს ამერიკის საკურორტო ქალაქ მაიამის უდიდეს დარბაზში მოეწყო ჩვენი ეპოქის ორი უძლიერესი მოკრივის მატჩ-რევანში, რომელსაც 15 ათასი მაყურებელი ესწრებოდა. მათ შორის იყვნენ ლეგენდარული ჯო ლუისი, როკი მარჩიანი, მაქს შმელინგი და სხვა წარსულში გამოჩენილი მოკრივეები.

მატჩის არბიტმა „ჩართო საათი“. — ბოქს!

პირველ რაუნდში შვედი აქტიურობდა, სწრაფად, მსუბუქად მოძრაობდა, სულ მალე მან პატერსონს ორი უძლიერესი დარტყმა მიაყენა და ნოკაუნში „გაგზავნა“. არბიტმა 8-ჯერ დათვალა და მხოლოდ ამის შემდეგ მიიღო ფ. პატერსონმა საბრძოლო მდგომარეობა. რაუნდი ი. იუჰანსონმა მოიგო.

შესვენების შემდეგ შეტევაზე ზანგი გადავიდა, მაგრამ ერთ მომენტში შვედის მარჯვენამ კვლავ მიზანს მიაღწია და ეს რაუნდიც მისი გამარჯვებით დამთავრდა. მესამე რაუნდში მსოფლიოს ექს-ჩემპიონი წამოეგო ზანგის ილეთზე. ძლიერი დარტყმა მიიღო და რაუნდი წააგო. ასეთივე შედეგით დამთავრდა მეოთხე და მეხუთე რაუნდიც.

ყველაფერი გადწყდა მეექვსე რაუნდში. გონგამდე 15 წუთით ადრე ფ. პატერსონმა საბედისწერო დარტყმა მიაყენა მოწინააღმდეგეს. ი. იუჰანსონი იატაკზე გაიშხლართა... მსაჯი ამაოდ თვლიდა...

ბრძოლა მოიგო პატერსონმა. მაგრამ უფრო მოგებული მატჩის ორგანიზატორები აღმოჩნდნენ, რომლებმაც ნახევარი მილიონი დოლარი ჩაიბარეს. უფრო მეტი შემოსავალი ჰქონდა ტელეხედვის კომპანიას. როდესაც რინგზე ფ. პატერსონი და ი. იუჰანსონი „სასიკვდილოდ“ დასდევდნენ ერთმანეთს. ტელეხედვის საქმოსნები უკვე მოგებას ითვლიდნენ, რომელიც 2 მილიონ ნახევარ დოლარს შეადგენდა. მათ არც რადიო და კინოკომპანიები ჩამორჩნენ — მილიონი დოლარით გაიზარდა მათი შემოსავალი.



იუჰანსონმა ვერ მოასწრო გონზე მოსვლა, რომ მეორე ნოკაუტი მიიღო. ამერიკის საადბეგვრო ხელისუფლებამ ამერიკისა და უცხოეთის ავია და სახომალღო კომპანიები გააფრთხილეს, რომ ისინი სამართალში იქნებიან მიცემულნი, თუ ი. იუჰანსონს სამშობლოში გასამგზავრებელ ბილეთს მიჰყიდიან. ამერიკელი ხელისუფლები ამტკიცებენ, რომ შვედმა მათ უნდა გადაუხადოს 600 ათასი დოლარი, რასაკვირველია, შვედი მოკრივისათვის ზემოხსენებული თანხის გადახდა პატერსონის საბედისწერო დარტყმაზე მეტი თუ არა, ნაკლები არ იყო.

ჯერ კიდევ არ მიწყნარებულა ამ ორი გიგანტის მატჩის გამო მითქმა-მოთქმა, რომ საქმეში ჩაერია მეორე ზანგი მოკრივე ჩარლზ სონი ლისტონი, რომელმაც არც კი აცალა ი. იუჰანსონს ახლახან მიღებულ ნოკაუტის შემდეგ გამოფხიზლებულიყო, რომ იგი მატჩში გამოიწვია. მსოფლიო ექს-ჩემპიონის მენეჯერმა თანხმობა განაცხადა ამ შეხვედრის მოწყობაზე. იგი გაიმართება გეტებორგში მომდინარე წლის 14 სექტემბერს. როგორია შვედის შანსები? ამბობენ, სახლში კედლებიც გეხმარებიანო, მაგრამ ლისტონზე გამარჯვება არც თუ იოლი საქმე იქნება. კრივის სპეციალისტების აზრით ლისტონი მსოფლიოში უძლიერესია ფ. პატერსონის შემდეგ. ამ ახლს თვით მსოფლიო ჩემპიონიც ეზიარებს. მაგრამ რატომღაც აქამდე ბედი არ წყალობდა ლისტონს. მან ვერაფრით ვერ მოახერხა შეხვედროდა მსოფლიო ჩემპიონობის პრეტენდენტებს, ამიტომ სახალხოდ განაცხადა, რომ მზად არის მსოფლიოს უძლიერესი მოკრივეების წინააღმდეგ რინგზე უფასოდაც გამოვიდეს.

და სულ მალე მსოფლიო პრესაში კვლავ ატყდება „განგაში“ იუჰანსონ-ლისტონის მატჩის გარშემო, კვლავ დიდი თანხის მოგების ... ეკონომიკური ... ამერიკელ ... ტელ. რადიო და კინო კომპანიების საქმოსნებს, რომლებსაც ... ეკონომიკურ ... ამერიკელ ... შეხვედრის ბედი, იუჰანსონის ჯანმრთელობა, რომელიც, როგორც ექიმები ამტკიცებენ, შერყეულია.

ზ. ნადიბაიძე

სურათზე: იუჰანსონი პატერსონის ძლიერი დარტყმის შემდეგ ნოკდაუნშია.

საერთაშორისო ტურნირი ბერლინში

გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ფეხბურთის ფედერაცია ბერლინში აწყობს საერთაშორისო ტურნირს, სადაც მონაწილეობას მიიღებენ საფრანგეთის პირველი ლიგის გუნდი „ნანსი“, „ფორვერტსი“ და „დინამო“ (ბერლინი), აგრეთვე „ტასმანია 1900“ (დას. ბერლინი).

გერმანული პრესის ცნობით, ტექნიკურად საუცხოოდ მომზადებული ფრანგული გუნდის მონაწილეობა საერთაშორისო ტურნირში დიდ ინტერესს იწვევს. აქ თამაშობენ არგენტინელები რობერტო და ფერარო, აგრეთვე სუდანელი ბასიდიკი, რომელთა ოსტატობას ფრანგი მომომხილველები მაღალ შეფასებას აძლევენ.

ჭადრაკის ქრონიკა

◎ **რუმინეთი.** ქვეყნის პირველობაში ჩემპიონის სახელი დაისაკუთრა მოსწავლე გეორგიუმ, რომელმაც მოაგროვა 12,5 ქულა 16-დან. მეორე ადგილი დაიკავა ჩოკილტიამ — 12 ქულა. შემდეგ ადგილებზე გამოვიდნენ საბო და შოოში — 11,5 ქულა თვითეულს, პავლოვი — 11 ქულა, მიტიტელუ და რადოვიჩი — 10,5 ქულა თვითეულს, გიცესკუ — 9,5 ქულა.

◎ **ვენესუელა.** კარაკასში დამთავრდა ზონალური ტურნირი ცენტრალური ამერიკის ქვეყნებისათვის, რომელიც არ გამოირჩეოდა ძლიერი შემადგენლობით. ტურნირში არ მონაწილეობდნენ კუბის, მექსიკის, პუერტო-რიკოსა და კოლუმბიის უძლიერესი ოსტატები. საზონათშორისო ტურნირში მონაწილეობის უფლება მოიპოვა საერთაშორისო ოსტატმა კუელონმა (კოლუმბია).

რედაქტორი ი. უგულავა

ნახ. დ. იაკობაშვილისა.



გაიმეორეთ, გადაღება ვერ მოვასწარი!..



მარად ჭაბუკი

უფროსი თაობის ცნობილმა, მეტად პოპულარულმა ჩოგბურთელმა ჟან ბოროტრამ, რომელიც ამას წინათ მოსკოვშიც კი გამოდიოდა ერთ-ერთ საერთაშორისო შეჯიბრებაზე, არა ერთხელ მიიღო წინადადება გაახალგაზრდავების ცნობილი სპეციალისტის, პროფესორ ო. ჰერცლასგან. პროფესორი ჩოგბურთელს სთავაზობს ე. წ. გამაახალგაზრდავებელ ოპერაციას.

ჟ. ბოროტრამ უპასუხა: „გმადლობთ, პროფესორო, მაგრამ ჩემის აზრით, ჯერ ადრეა. მე ხომ სულ რაღაც 61 წლისა ვარ“.

გაზეთი გამოდის სამშაბათობით, ხუთშაბათობითა და კვირაობით. რედაქციის მისამართი: თბილისი, ელბაქიძის დალმართი № 12, დეპეშებისათვის, თბილისი, „ლელო“, ტელეფონები: რედაქტორის—3-89-62, პასუხისმგებელი მდივნისა და განყოფილებების — 3-90-34, გამომშვების — 3-01-06.

2 საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი“, თბილისი, ლენინის ქ. № 14. უე 03897